[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

### **მუხლი 228. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**

[ამ კოდექსის 141-ე, 142-ე, 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup> მუხლებით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი №686 – სსმ I, №51, 30.12.2000წ., მუხ.149](#)

[საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონი №783 – სსმ I, №5, 18.01.2005 წ., მუხ.22](#)

### **[მუხლი 228. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**

[ამ კოდექსის 141-ე, 142-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup> და 144<sup>11</sup> მუხლებით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. **(ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან)**

[საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5012 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.](#)

### **მუხლი 228<sup>1</sup>. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია**

[ამ კოდექსის 92<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

[საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №976 – სსმ I, №4, 17.01.2005წ., მუხ.18](#)

[საქართველოს 2007 წლის 20 ნოემბრის კანონი №5471 – სსმ I, №40, 03.12.2007წ., მუხ.382](#)

### **მუხლი 228<sup>2</sup>. ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის ლიცენზიანტი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური**

1. [ამ კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ შესაბამისად ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიანტებს და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს.

2. [ამ კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღსრულებენ შესაბამისად ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიანტები და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „[სააღსრულებო წარმოებათა შესახებ](#)“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. [ამ კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „[სააღსრულებო წარმოებათა შესახებ](#)“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

[საქართველოს 2010 წლის 16 ივლისის კანონი №3448 – სსმ I, №44, 28.07.2010წ., მუხ.275](#)

### **მუხლი 228<sup>3</sup>. სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები**

1. ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით და 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ პირებს ან/და იურიდიულ პირებს.

2. ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების (ადმინისტრაციული სახდელის დადების) შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „[სააღსრულებო წარმოებათა შესახებ](#)“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების





ჩადენისათვის ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღსრულებენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

[საქართველოს 2010 წლის 16 ივლისის კანონი №3448 – სსმ I, №44, 28.07.2010წ., მუხ.275](#)

[საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი №2756 – ვებგვერდი, 19.07.2018წ.](#)

#### **მუხლი 229. (ამოღებულია)**

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის](#)

[სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი №2132 – სსმ I, №25\(32\), 02.07.1999წ., მუხ.123](#)

[საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1789 – სსმ I, №40, 18.07.2005წ., მუხ.277](#)

#### **მუხლი 229<sup>1</sup>. (ამოღებულია)**

[საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 28 აპრილის ბრძანებულება №717 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №4, აპრილი, 1986 წ., მუხ.89](#)

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის](#)

[სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308](#)

[საქართველოს 1998 წლის 17 სექტემბრის კანონი №1573 – სსმ I, №2, 26.10.1998წ., მუხ.6](#)

[საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი №934 – სსმ I, №19, 02.07.2001წ., მუხ.64](#)

[საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის კანონი №604 – სსმ I, №37, 16.12. 2004 წ., მუხ.177](#)

#### **მუხლი 229<sup>2</sup>. (ამოღებულია)**

[საქართველოს 2000 წლის 29 ივნისის კანონი №439 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.77](#)

[საქართველოს 2005 წლის 22 მარტის კანონი №1126 – სსმ I, №13, 12.04.2005 წ., მუხ.78](#)

#### **მუხლი 229<sup>3</sup>. (ამოღებულია)**

[საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №765 – სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.18](#)

[საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1859 – სსმ I, №3, 17.01.2003წ., მუხ.12](#)

[საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3173 – სსმ I, №17, 30.05.2006წ., მუხ.117](#)

[საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4296 – სსმ I, №1, 03.01.2007წ., მუხ.8](#)

[საქართველოს 2007 წლის 5 ივნისის კანონი №4863 – სსმ I, №22, 19.06.2007წ., მუხ.192](#)

[საქართველოს 2010 წლის 8 აპრილის კანონი №2914 – სსმ I, №20, 19.04.2010წ., მუხ.115](#)

[საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4429 – ვებგვერდი, 17.03.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4651 – ვებგვერდი, 13.05.2011წ.](#)

#### **მუხლი 229<sup>4</sup>. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირები განიხილავენ ამ კოდექსის 105<sup>2</sup> და 179<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ პირებს.

[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1637 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.118](#)

[საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1789 – სსმ I, №40, 18.07.2005წ., მუხ.277](#)

[საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5300 – ვებგვერდი, 01.12.2011წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 15 ივნისის კანონი №973 – ვებგვერდი, 30.06.2017წ.](#)

#### **მუხლი 229<sup>5</sup>. (ამოღებულია)**

[საქართველოს 2007 წლის 2 მარტის კანონი №4413 – სსმ I, №8, 23.03.2007წ., მუხ.77](#)

[საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3535 – სსმ I, №47, 05.08.2010წ., მუხ.305](#)

#### **მუხლი 229<sup>6</sup>. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები**



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს/სამსახურებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ ამ კოდექსის 44<sup>12</sup> და 173<sup>13</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება.

[საქართველოს 2007 წლის 2 მარტის კანონი №4413 – სსმ I, №8, 23.03.2007წ., მუხ.77](#)

[საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4072 – სსმ I, №76, 29.12.2010 წ., მუხ.502](#)

[საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კანონი №5653 – ვებგვერდი, 12.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 17 მაისის კანონი №861 – ვებგვერდი, 30.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3119 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 5 სექტემბრის კანონი №3401 – ვებგვერდი, 25.09.2018წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 13 დეკემბრის კანონი №3957 – ვებგვერდი, 25.12.2018წ.](#)

**[მუხლი 229<sup>7</sup>. ამ კოდექსის 42<sup>10</sup> და 177<sup>15</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი ორგანოები**

1. ამ კოდექსის 42<sup>10</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას და შესაბამისი ოქმის შედგენას, აგრეთვე, თუ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის ადგილზე დადებას, ასევე ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა შესაბამისი უფლებამოსილებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების გარდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოებიც ახორციელებენ.

2. ამ კოდექსის 177<sup>15</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას და შესაბამისი ოქმის შედგენას, აგრეთვე, თუ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის ადგილზე დადებას, ასევე ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა შესაბამისი უფლებამოსილებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების გარდა, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოებიც ახორციელებენ. (ამოქმედდეს 2020 წლის 2 მაისიდან)

[საქართველოს 2020 წლის 23 აპრილის კანონი №5887 – ვებგვერდი, 24.04.2020წ.](#)

#### კარი IV. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება

##### თავი XVII. ძირითადი დებულებანი

#### მუხლი 230. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

#### მუხლი 231. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.112](#)

#### მუხლი 232. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს:

1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;



2) იმ პირის მიმართ, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია თექვსმეტი წლის ასაკი;

3) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის ჩამდენი პირის შეურაცხადობის გამო;

4) თუ პირი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობისა ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში;

5) ამნისტიის აქტის მიღების გამო, თუ იგი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

6) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმების გამო;

7) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა;

8) თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელსაც აქვს მიცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას;

9) იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

10) [\(ამოღებულია – 25.03.2013, №453\).](#)

[საქართველოს 2012 წლის 20 მარტის კანონი №5916 – ვებგვერდი, 30.03.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №453 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.](#)

### **მუხლი 233. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ კანონის და საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

### **მუხლი 234. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ღია განხილვა**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება ღიად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი როლის ამაღლების მიზნით ასეთი საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ შრომით კოლექტივებში, დამრღვევის სწავლის ან საცხოვრებელ ადგილას.

### **მუხლი 234<sup>1</sup>. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა**

ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)

### **მუხლი 235. საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას**

პროკურორს, ახორციელებს რა ზედამხედველობას კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას, უფლება აქვს აღძრას წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; გაეცნოს საქმის მასალებს; შეამოწმოს ორგანოების (თანამდებობის პირთა) მოქმედების კანონიერება საქმის წარმოების დროს; მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; განაცხადოს შუამდგომლობანი, მისცეს დასკვნები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე; შეამოწმოს შესაბამისი ორგანოების (თანამდებობის პირთა) მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების სისწორე; გააპროტესტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო შეტანილ საჩივარზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება; შეაჩეროს დადგენილების აღსრულება, აგრეთვე შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებანი.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128](#)

### **მუხლი 236. მტკიცებულებანი**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით,





ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)

[საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კანონი №4191 – სსმ I, №49, 29.12.2006წ., მუხ.359](#)

[საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი №4707 – სსმ I, №18, 22.05.2007წ., მუხ.137](#)

### **მუხლი 237. მტკიცებულებათა შეფასება**

ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

### **მუხლი 238. პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემა**

თუ საქმის განხილვის დროს ორგანო ( თანამდებობის პირი) დაასკვნის, რომ დარღვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იგი მასალებს გადასცემს პროკურორს ან გამოძიების ორგანოს.

[საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი №1350 – სსმ I, №19, 28.04.2005წ., მუხ.122](#)

[საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619 – სსმ I, №51, 29.09.2010 წ., მუხ.332](#)

## **თავი XVIII. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**

### **მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება [ამ კოდექსის 242-ე მუხლით](#) გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. [ამ კოდექსის 42<sup>1</sup> და 42<sup>2</sup> მუხლებით](#) გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს კოლექტიური შრომითი დავის მომწესრიგებელი სამსახური.

2<sup>1</sup>. ამ კოდექსის 42<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. [ამ კოდექსის 57<sup>2</sup> მუხლით](#), 60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, [61-ე, 95-ე, 128<sup>1</sup> და 173<sup>5</sup> მუხლებით](#) გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51<sup>2</sup>, 51<sup>4</sup>–53<sup>2</sup>, 54-ე, 54<sup>1</sup>, 55<sup>1</sup>, 55<sup>4</sup>, 56-ე და 57<sup>1</sup> მუხლებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58<sup>1</sup>–59-ე, 59<sup>3</sup>, მე-60, 60<sup>3</sup>, 61<sup>1</sup>, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69<sup>4</sup>–69<sup>6</sup>, 71-ე, 71<sup>1</sup>, 72<sup>1</sup>–77-ე, 78-ე და 79<sup>1</sup>–79<sup>5</sup> მუხლებით, 79<sup>6</sup> მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79<sup>7</sup>, 79<sup>8</sup> და 82<sup>1</sup>–82<sup>4</sup> მუხლებით, 82<sup>5</sup> მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 87<sup>1</sup>–87<sup>3</sup> და 89-ე–89<sup>3</sup> მუხლებით, 91<sup>3</sup> მუხლის მე-3 ნაწილით, 103<sup>1</sup>, 104-ე და 128<sup>2</sup>–128<sup>5</sup> მუხლებით და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

4<sup>1</sup>. ამ კოდექსის 59<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები.

4<sup>2</sup>. ([ამოღებულია – 25.03.2013, №453](#)).

4<sup>3</sup>. ამ კოდექსის 51-ე, 51<sup>2</sup> და 54<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

4<sup>4</sup>. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 51<sup>2</sup> და 51<sup>4</sup>–52-ე მუხლებით, 53<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 53<sup>2</sup>, 54-ე, 54<sup>1</sup> და 55<sup>1</sup> მუხლებით, 55<sup>4</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, მე-60, 60<sup>3</sup>, 61-ე და 63-ე–63<sup>1</sup> მუხლებით, 64<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66<sup>1</sup> და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე–74-ე, 76-ე და 85<sup>1</sup>–85<sup>5</sup> მუხლებით, 86-ე მუხლის



პირველი-მე-9 და მე-13-21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით და 104-ე და 128<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. (ამოღებულია).

6. [ამ კოდექსის 95-ე მუხლით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

9. [ამ კოდექსის 92<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

10. ამ კოდექსის 88-ე და 144<sup>10</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

10<sup>1</sup>. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

11. [ამ კოდექსის 107<sup>1</sup> მუხლით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

12. [ამ კოდექსის 107<sup>2</sup> და 107<sup>3</sup> მუხლებით](#) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები.

13. ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, 81-ე, 86<sup>1</sup>, 100<sup>2</sup>, 107-ე, 107<sup>5</sup>, 114<sup>1</sup>, 114<sup>2</sup>, 116-ე-116<sup>3</sup>, 118-ე-123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის პირველი-მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135<sup>2</sup>-135<sup>4</sup>, 139<sup>5</sup>, 150-ე, 152<sup>7</sup>, 152<sup>8</sup> და 153<sup>3</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 174<sup>1</sup>, 174<sup>15</sup>, 174<sup>16</sup>, 175<sup>2</sup>, 176<sup>1</sup>, 177-ე, 177<sup>1</sup>, 180-ე-183-ე, 190-ე, 190<sup>2</sup>, 191-ე და 199<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 166-ე და 197<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

[13. ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, 81-ე, 86<sup>1</sup>, 100<sup>2</sup>, 107-ე, 107<sup>5</sup>, 114<sup>1</sup>, 114<sup>2</sup>, 116-ე-116<sup>3</sup>, 118-ე-123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის პირველი-მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135<sup>2</sup>-135<sup>4</sup>, 139<sup>5</sup>, 150-ე, 152<sup>7</sup>, 152<sup>8</sup> და 153<sup>3</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 173<sup>14</sup>, 173<sup>15</sup>, 174<sup>1</sup>, 174<sup>15</sup>, 174<sup>16</sup>, 175<sup>2</sup>, 176<sup>1</sup>, 177-ე, 177<sup>1</sup>, 180-ე-183-ე, 190-ე, 190<sup>2</sup>, 191-ე და 199<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 166-ე და 197<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 მაისიდან)]

[13. ამ კოდექსის 42<sup>10</sup>, 45-ე, 45<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, 81-ე, 86<sup>1</sup>, 100<sup>2</sup>, 107-ე, 107<sup>5</sup>, 114<sup>1</sup>, 114<sup>2</sup>, 116-ე-116<sup>3</sup>, 118-ე-123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის პირველი-მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135<sup>2</sup>-135<sup>4</sup>, 139<sup>5</sup>, 150-ე, 152<sup>7</sup>, 152<sup>8</sup> და 153<sup>3</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 173<sup>14</sup>, 173<sup>15</sup>, 174<sup>1</sup>, 174<sup>15</sup>, 174<sup>16</sup>, 175<sup>2</sup>, 176<sup>1</sup>, 177-ე, 177<sup>1</sup>, 177<sup>15</sup>, 180-ე-183-ე, 190-ე, 190<sup>2</sup>, 191-ე და 199<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 166-ე და 197<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი. (ამოქმედდეს 2020 წლის 2 მაისიდან)]

[13. ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 58<sup>3</sup>, 81-ე, 86<sup>1</sup>, 100<sup>2</sup>, 107-ე, 107<sup>5</sup>, 114<sup>1</sup>, 114<sup>2</sup>, 116-ე-116<sup>3</sup>, 118-ე-123-ე, 125-ე და 127-ე



მუხლებით, 127<sup>1</sup> მუხლის პირველი-მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135<sup>2</sup>-135<sup>4</sup>, 139<sup>5</sup>, 150-ე, 152<sup>7</sup>, 152<sup>8</sup> და 153<sup>3</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 174<sup>1</sup>, 174<sup>15</sup>, 174<sup>16</sup>, 175<sup>2</sup>, 176<sup>1</sup>, 176<sup>3</sup>, 177-ე, 177<sup>1</sup>, 180-ე-183-ე, 190-ე, 190<sup>2</sup>, 191-ე და 199<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 166-ე და 197<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან)]

13<sup>1</sup>. ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ ჩადენისას, აგრეთვე ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი.

13<sup>2</sup>. ამ კოდექსის 173 -ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს აღსრულების პოლიციელი.

14. ამ კოდექსის 43<sup>1</sup>, 43<sup>2</sup>, 51<sup>3</sup>, 53<sup>3</sup>, 55-ე, 55<sup>2</sup> და 55<sup>3</sup> მუხლებით, 82<sup>5</sup> მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107<sup>4</sup> მუხლით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 119<sup>1</sup> მუხლით, 127<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146<sup>1</sup>, 148-ე, 150-ე-151-ე, 152-ე და 153<sup>4</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით და 159-ე და 159<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები.

[14<sup>1</sup>. ამ კოდექსის 46<sup>5</sup>, 46<sup>6</sup>, 172<sup>8</sup> და 172<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის შესაბამისი თანამდებობის პირი. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან)]

15. (ამოღებულია).

16. ამ კოდექსის 153-ე, 153<sup>1</sup>, 154<sup>1</sup>, 154<sup>2</sup>, 155<sup>1</sup>, 158-ე, 158<sup>1</sup>, 159<sup>4</sup>, 163-ე, 165<sup>3</sup> და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოები ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

16<sup>1</sup>. ამ კოდექსის 159<sup>10</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

17. (ამოღებულია).

18. ამ კოდექსის 173<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

[18<sup>1</sup>. ამ კოდექსის 173<sup>14</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 მაისიდან)]

19. ამ კოდექსის 82<sup>5</sup> მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91<sup>2</sup> მუხლით, 91<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 127<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 135<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153<sup>1</sup> და 153<sup>5</sup> მუხლებით, 155<sup>1</sup>-155<sup>3</sup>, 155<sup>5</sup> და 155<sup>6</sup> მუხლებით, 155<sup>7</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155<sup>9</sup>, 155<sup>10</sup>, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164<sup>4</sup> და 165-ე-165<sup>3</sup> მუხლებით, 171<sup>4</sup> მუხლის მე-2 ნაწილითა და 171<sup>5</sup>, 178-ე, 179<sup>3</sup>, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში - ამ კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.

[19. ამ კოდექსის 82<sup>5</sup> მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91<sup>2</sup> მუხლით, 91<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 127<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 135<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153<sup>1</sup> და 153<sup>5</sup> მუხლებით, 155<sup>1</sup>-155<sup>3</sup>, 155<sup>5</sup> და 155<sup>6</sup> მუხლებით, 155<sup>7</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155<sup>9</sup>, 155<sup>10</sup>, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164<sup>4</sup> და 165-ე-165<sup>3</sup> მუხლებით, 171<sup>4</sup> მუხლის მე-2 ნაწილითა და 171<sup>5</sup>, 178-ე, 179<sup>3</sup>, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, აგრეთვე თავიანთი





უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42<sup>10</sup> მუხლით, 127<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> ნაწილებითა და 177<sup>15</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2020 წლის 2 მაისიდან)]

[19<sup>1</sup>. ამ კოდექსის 155<sup>8</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან)]

20. ამ კოდექსის 173<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი.

21. ამ კოდექსის 173<sup>5</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ კანონით განსაზღვრული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

22. ამ კოდექსის 179<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

23. ამ კოდექსის 174<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

24. 177<sup>8</sup>, 177<sup>9</sup> და 177<sup>10</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები და ადგილობრივი თვითმმართველობისა ან მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

24<sup>1</sup>. (ამოღებულია).

24<sup>2</sup>. (ამოღებულია).

24<sup>3</sup>. (ამოღებულია).

25. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

26. (ამოღებულია – 01.07.2011, №5004).

27. ამ კოდექსის 55<sup>5</sup>, 55<sup>6</sup>, 77<sup>1</sup>, 77<sup>2</sup>, 107<sup>2</sup> და 107<sup>3</sup> მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup>–125<sup>4</sup> მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135<sup>5</sup>, 146<sup>1</sup>, 150<sup>1</sup>–150<sup>3</sup>, 151<sup>1</sup> და 152<sup>2</sup>–152<sup>9</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 153<sup>9</sup>, 156<sup>1</sup>, 158<sup>3</sup> და 158<sup>4</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

28. ამ კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირს.

28<sup>1</sup>. ამ კოდექსის 56-ე, 57-ე, 57<sup>2</sup>–57<sup>4</sup>, 59<sup>3</sup>, 84-ე და 84<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები.

29. ამ კოდექსის 91<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანო კანონით უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე.

30. (ამოღებულია).

31. ადგილობრივი ტყის ფონდის მიწებზე ამ კოდექსის 49-ე, 51-ე, 51<sup>2</sup>, 52-ე, 63-ე, 64-ე, 65-65<sup>1</sup>, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე და 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

32. (ამოღებულია).

33. ამ კოდექსის 157<sup>1</sup>–157<sup>4</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

34. ამ კოდექსის 94-ე მუხლით ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების



მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

35. ამ კოდექსის 141-ე-142-ე, 144<sup>1</sup> და 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები.

[35. ამ კოდექსის 141-ე-142-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup> და 144<sup>11</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან)]

36. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ჩადენილ, ამ კოდექსის 56-ე, 57-ე და 57<sup>2</sup> მუხლებით, 91<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით და 96<sup>2</sup> და 173<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

37. ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოები.

38. ამ კოდექსის 44<sup>2</sup>, 44<sup>5</sup>, 44<sup>7</sup>-44<sup>11</sup> და 46<sup>2</sup>-46<sup>4</sup> მუხლებით, 155<sup>7</sup> მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებითა და 155<sup>11</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

39. ამ კოდექსის 105<sup>2</sup> და 179<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო.

39<sup>1</sup>. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

40. (ამოღებულია).

41. ამ კოდექსის 58<sup>2</sup> მუხლით და 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად). ამ კოდექსის 86-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5-მე-10 და მე-12-მე-15 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად).

42. ამ კოდექსის 46<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

43. (ამოღებულია).

44. ამ კოდექსის 43-ე, 44-ე, 44<sup>1</sup>, 44<sup>3</sup> მუხლებით, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 60<sup>3</sup>, 173<sup>5</sup>, 177<sup>11</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

45. ამ კოდექსის 178<sup>1</sup> და 178<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, ხოლო ამ კოდექსის 178<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ერთობლივად ადგენენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

[45. (ამოღებულია - 05.02.2020, №5707). (ამოქმედდეს 2020 წლის 12 მაისიდან)]

46. ამ კოდექსის 42<sup>5</sup>-42<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილი პირები.

47. ამ კოდექსის 139<sup>2</sup> და 139<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების უფლებამოსილ



თანამდებობის პირებს, ხოლო 139<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება – შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირებს.

47<sup>1</sup>. ამ კოდექსის 109-ე და 111-ე-111<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

48. ამ კოდექსის 171<sup>1</sup> მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 171<sup>3</sup> და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

49. [\(ამოღებულია – 08.05.2012, №6156\)](#).

50. ამ კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

51. ამ კოდექსის 44<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

52. [\(ამოღებულია\)](#).

52<sup>1</sup>. ამ კოდექსის 129<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში ქვეყნის საზღვრების შიგა სივრცეში ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ან მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

53. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45<sup>1</sup>, 166-ე, 197<sup>2</sup> და 197<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

54. [\(ამოღებულია – 28.12.2011, №5662\)](#).

55. ამ კოდექსის 185-ე, 185<sup>1</sup> და 185<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

56. ამ კოდექსის 128<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

57. ამ კოდექსის 99-ე, 165<sup>10</sup> და 165<sup>11</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

58. [\(ამოღებულია\)](#).

59. [\(ამოღებულია – 27.12.2011, №5653\)](#).

60. ამ კოდექსის 172<sup>4</sup>, 172<sup>5</sup>, 173<sup>6</sup>, 173<sup>7</sup>, 173<sup>9</sup> და 175<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, ხოლო ამ კოდექსის 172<sup>7</sup> და 173<sup>13</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

60<sup>1</sup>. ამ კოდექსის 155-ე, 166<sup>1</sup>, 170-ე, 171-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

60<sup>2</sup>. [\(ამოღებულია – 22.12.2018, №4100\)](#).

61. ამ კოდექსის 96<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს





ადგენს პირველადი წყალმოსარგებლე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

62. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

63. ამ კოდექსის 173<sup>12</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს სასამართლო.

